ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2018 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს უფლებამოსილებაა მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

განკარგულების პროექტი, ასევე შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2018 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტის თაობაზე

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტებთან და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

განკარგულების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი : *ბექა შენგელია*